წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 2 მარტი 1916 წ. | № 48

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე — 10 კ. **[illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიაროდ განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

დავით ავეტის ძე გარიცელოვი და მისი შვილები: ნინო, მარიამი, ელენე, ნიკოლოზი და მიხეილ ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე დავითის ძე ფერაძე აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ოსმალეთის ასპარეზზე ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობისაგან მათი დაუვიწყარი და უგულითადესად საყვარელი სიძე

პოდპორუჩიკი

თ-დი ირაკლი (რალია) ივანეს ძე

ხიმშიაშვილი

გამოსვენება დღეს, 2 მარტს, დილის 9 საათზე, ბინიდან (მლეთის მისახვევი № 11) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება მართლმადიდებელთა კუკიის სასაფლაოზე

თ-დი ივანე ზაალის ძე, ლიუდმილა მიხეილის ასული, დიმიტრი ივანეს ძე, ნინო ივანეს ასული ხიმშიაშვილები, კნ. თამარ ივანეს ასული ჩოლოყაშვილისა და ბარბარე მიხეილის ასული იაკოვლევისა უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ოსმალეთის ასპარეზზე ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობებისაგან პირველთა უსაყვარლესი შვილი, მეორისა—მეუღლე, მესამეთა—ძმა და უკანასკნელისა დისწული

პოდპორუჩიკი

თ-დი ირაკლი (რალია) ივანეს ძე

ხიმშიაშვილი

გამოსვენება დღეს, 2 მარტს, ბინიდან (მლეთის მისახვევი № 11) დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაგის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

სასტუმრო „ევროპა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მოართული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი** 12—85.

(წ.—)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

ფეფის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღვინების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

პირველი წელი | **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მოწერათათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისაგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას ძის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

6 მარტს 1916 წელს მოხდება

ქ. სიღნაღის ახალ კლუბის გინაზე დილით 10 საათ.

მოამხმარებელ საზოგადოება

„მეგობრობის“

წლიური საზოგადო კრება

განსახილველია: 1) წლიური 1915 წლ. ანგარიში, 2) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) საპაიო და საწევრო გადასახადის შემცირება და 4) გამგეობის წევრების არჩევა. თუ 6-ში კრება არ შესდგა, მეორე კრება გაიმართება 13 მარტში და მაშინ კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

გამგეობა.

„წნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო ჯუგაანი

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—16 პატივისცემით **ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი**

ეკონომიური საზოგადოების ბეჭდვა

ეკონომიური საზოგადოების ბეჭდვა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლლას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ ტ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა

მიხეილ კავსაძესთან

(ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ტ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 29 თებერ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი რიგის რაიონის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა და მზვერავთა შეტაკება. გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი რეპედან გამოჰქანდა და სროლა აუტეხა რუსთა თხრილებს, მაგრამ უკუქცეულ იქმნა რუსთა საარტილერიო ცეცხლით. იქსკიულის რაიონში საარტილერიო ბრძოლის დროს შენიშნეს, რომ რუსებმა მარჯვედ მოახვედრეს გერმანელთა ბატარეებს, აგრეთვე გერმანელთა რაზმებს, რომელნიც სცდილობდნენ ს. ბორკოვიცთან შემოჭრილიყვნენ. იაკობშტადტის რაიონში გერმანელები ზარბაზანს უშენდნენ ახალ ზელბურგის სადგურს. ტენენფელდის მიდამოებში, დვინსკის პოზიციებზე, მკვირცხლი საარტილერიო, თოფისა ტ ნაღმის-ფრქვეველთა სროლაა გაჩაღებული. გალიციაში კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სტრიპის შუა მიმდინარეობაზე რამდენჯერმე მოხდა მზვერავთა შეტაკება, რაიც რუსთა საკეთილოდ დამთავრდა. ერთგან საყარაულოზე 30 კაცი სულ ერთიანად დაატყვევეს რუსებმა.

კავკასიის ასპარეზი. მდ. კალაპოტამოს რაიონში რუსებმა ხელახლად დაახევინეს ოსმალთ.

სპარსეთში ქერმანშაჰის ოპერაციების დროს რუსებს დავლად დარჩენიათ რვა ზარბაზანი.

პარიზი, 28 თებერვალი. საღამოთი მოსული ოფიციალი ცნობა. მდ. სომის სამხრეთით არტილერიის ცეცხლით დავანგრიეთ მტრის საველე სიმაგრენი მოკურის პირდაპირ, მდ. უაზისა და ენის შუა. არგონებში გავანადგურეთ მტრის რამდენიმე სადარაჯო. ვერდენის რაიონის ჩრდილოეთით ქვეითი ჯარს იერიში არ მოუტანია. საკმაოდ მკაცრი საარტილერიო სროლა მოხდა მდ. მაასის ორთავე მხარეს. ჩვენმა მძიმე არტილერიამ გაჰფანტა მტრის რაზმები პუავრეს მაღლობთან. სენონის რაიონში მოვსპეთ მტრის თხრილები. დილით ჩვენმა მფრინავმა ჰიმენემ ჩამოაგდო გერმანელი მფრინავი, რომელიც ცეცხლ-მოდებული ჩვენს ბანაკში ჩამოეშვა ტიერის მახლობლად. ეს მერვე ჰაეროპლანი დაჰლუპა ხსენებულმა მფრინავმა. ექვსი ჩვენსკენ ჩამოვარდა, ხოლო ორი გერმანელთა მხარეზე. მეორე ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო მტრის ჰაეროპლანი, რომელიც დაეცა ჩვენს მხარეზე დომბალან-არგონის მახლობლად. ორთავე აპარატის პასაჟირები დაიხოცნენ. იმავე დღეს მთელმა ჯგუფმა ჰაეროპლანებისამ გაითარეშა და 18-ჯერ განიცადა შეტაკება, ესტენის რაიონში. მოწინააღმდეგენი ყოველთვის გაურბოდნენ ბრძოლას.

ჰავრი, 28 თებერვალი. ბელგიელთა ოფიციალი უწყება. მთელს ფრონტზე მძაფრი საარტილერიო ბრძოლაა. მუბორნის სახლის სამხრეთით ბრძოლა სწარმოებდა ხელით სასროლი ყუმბარებით.

პარიზი, 29 თებერვალი. დღისით მოსული ოფიციალი ცნობა. ვერდენის რაიონის ჩრდილოეთით არავითარი ბრძოლა არ მომხდარა ქვეითი ჯარის დახმარებით. მთელი ღამის განმავლობაში ბეტანკურს უშენდნენ ზარბაზანს, ასეთივე სროლა არ შეწყვეტილა დუომონის რაიონში და ვევრში მულენვილისა და რონვოს სექტორებში. ჩვენმა არტილერიამ დიდი აქტივობა გამოიჩინა მთელის ფრონტის გასწვრივ. ლეპერტის ტყეში ჩვენი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში კოუა-დეკარმის მახლობლად, 200 მეტრის სიგრძეზე, დიდი ზარალი მიაყენა მტერს და მშვიდობიანად დაბრუნდა უკან. თან ოცი ტყვე წამოიყვანა. დანარჩენ ფრონტზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრამ ღამით ფრენის დროს 30 დიდი ყალიბის ყუმბარა ჩამოაგდო. კონფლანის რკინის გზის სადგურზე, ხუთგან შენიშნეს ცეცხლი. მიუხედავათ იმისა, რომ მტერმა სასტიკი სროლა აუტეხა, ყველა აპარატები უვნებლად დაბრუნდნენ.

პარიზი, 29 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება: უკანასკნელ კვირაში ომის ასპარეზზე, რომელიც სავსეა ღირსშესანიშნავი ამბებით, შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. საარტილერიო ცეცხლის შენელება შენიშნეს კვირას. თვით ქვეითა ჯარიც აღარ იჩენდა სიმძვინვარეს. ამასთან ერთად გერმანელთა მთავარი შტაბი შეეცადა წანახედის დაფარვას და ძველ გამარჯვებათა გადათვლას, თუ მაასთან ბრძოლაში რამდენი ტყვე წამოიყვანა ან რა დარჩა დავლად. დღევანდელი ბრძოლის შენელება მომასწავებელია იმისა, რომ მტერს სჯირია დანაკლისის შევსება, რაიც ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოუვიდათ მათს ჯარებს. გერმანელები კვლავ ეზიდებიან ახალ-ახალს იარაღს. ცოცხალი ძალა კი კლებულობს. ვერდენის ბრძოლამ მათ დიდი ზარალი მიაყენა.

ლონდონი. 28 თებერვალი. საადმირალო გვამცნობს,—დამხმარე კრეისერი „ფოვეტი“ ჩასძირეს ნაღმით ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. მეზღვაურთა შემადგენლობიდან დაიღუპა ორი აფიცერი და თორმეტი ჯარისკაცი.

ათინა. 28 თებერვალი. სტამბოლიდან იტყობინებიან—ოსმალები რუსთა ჯარების შესაჩერებლად ანგორში თავს უყრიან მთელს თავის სამხედრო ძალას, რომელიც ჰყავდათ ფრაკიაში, პროპონტილში, სმირნაში და სხვა ადგილებში, მაგრამ უგზოობის გამო ჯარის ახლავე გზავნა თითქმის შეუძლებელი ხდება.

რომი, 28 თებერვალი. ოფიციალი. მთა გორიან ადგილებში ავდრიანი ამინდები კვლავ ხელს უშლიან ჩვენი ჯარის მოქმედებას. ზოგიერთს ადგილებში თოვლის სიღრმე 10 მეტრს აღემატება. ჩვენი არტილერია ხელს უწყობდა საომარ მოქმედებას იზონოდან—ზღვამდე. ამ მანძილზე მოწინააღმდეგის თხრილები ზოგან დაზიანებულ იქმნა—მათი დამცველნი კი გამოვრეკეთ და მოვსპეთ. მოწინააღმდეგის ბატარეები ბევრგან ჩაჩუმებულ იქმნა. ჩვენმა ქვეითა ჯარმა ისარგებლა რა—საარტილერიო ბრძოლის შეწყვეტით—ზოგან ეკვეთა მტრის პოზიციებს და სახელდახელო ყუმბარები დაუშინა. ადრე მოსულს მაშველს ჯარს მოწინააღმდეგისას სწორის მიზნით არტილერიის და ტყვიის მტყორცნელთა ქარიშხალისებური ცეცხლი გავუჩინეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენთან.

„ფოსიშე-ცაიტუნგ“-ი სწერს: ვერდენთან ბრძოლის მიზანია მეცსა და არგონებ შუა ჩვენი მიმოსვლა უზრუნველვყოთ. ამ ხაზზე ფრანგები ზარბაზნების განუწყვეტელი სროლით ხელს გვიშლიან ჯარისა და სურსათის გადაზიდვაში. ჩვენ დღე-დღეზე ველით ფრანგების ძლიერი ჯარის შემოტევას. ეს უსათუოდ ასე იქნება. სად შეეცდებიან ფრანგები შემოტევას ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩვენ კი ყველგან მზადა ვართ.

„ჟურნალ დე დება“ სწერს: ფრანგების ზოსაგერიებელი ხაზი უკან დასწიეს მარჯვენა ფრთაზე, რათა მდ. მაასთან წინ წაწეული ხაზი შეესწორებინათ. ეხლა ჯარის პირი მაასის ველზე სოფ. კიუმერინ თავს ებჯინება კოტ დ' ემულის სიმაღლესთან. ასეთი უკან დახევა ფრანგების ჯარისა სტრატეგიულის მოსაზრებით არის გამოწვეული, რადგანაც მაასის მარჯვენა ნაპირზედაც ასევე დაიხიეს უკან.

არც შეიძლებოდა გვეფიქრა განაგრძობს გაზეთი,—რომ ფრანგები შესძლებდნენ აქ წინ წაწეულ ხაზის შენარჩუნებას, გერმანელების მოზღვავებულ იერიშის დროს, მით უმეტეს, რომ გერმანელებს საშუალება ჰქონდა პირდაპირაც შემოეტიათ და ზურგის მხარეც მოეჭრათ. ფრანგების მთავარ სიმაგრეებისაკენ მიმავალი გზა ბეტანკურთან და კოტ-დ-ელუასთან მთის

კალთობებზე მისდევს და თუ ამ ადგილებში შემოუტიეს გერმანელებმა, მხოლოდ ეს იქნება ნამდვილი დასაწყისი დიდი ბრძოლისა.

ქ. რიზე.

ქ. რიზეში 4000 მცხოვრებია. რიზეს აღებით რუსის ჯარი ტრაპიზონს 65 ვერსით ღაა დაშორებული. რიზე იმითაც არის ხელსაყრელი, რომ რუსეთის ჯარს აბატონებს ოსმალეთის ასპარეზის მარჯვენა ფრთაზე.

სპარსეთში.

რუსებმა აიღეს ქ. სენნე, რომელიც ქერმანშაჰიდა 50 ვერსზე მდებარეობს. სენნედან ბევრი გზები მიდის სხვა და სხვა მხარეს. სენნეზე გადის სატელეფონო მავთულიც. აქედან ჩინებული გზა მიდის სულეიმანიესკენ და ურმიისტბისკენ.

ვილჰელმი ლუვენში.

სამშაბათს ვილჰელმი და ფალკენჰეიმი ლუვენს გაემგზავრნენ.

ბრძოლა ფრენთან.

ვეერში ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს სოფელი ფრენი. დიდი თავგანწირული ბრძოლაა მაასის დასავლეთის ნაპირას.

პორტუგალია.

ლისაბონიდან იტყობინებიან: პორტუგალიის მთავრობა ყოველ ღონეს იღებს თავდაცვისათვის. ღამ-ღამობით ყველა კანდელებზე (მაიაკზე) სინათლეს აქრობენ და პორტუგალიის სამხედრო გემები სანაპიროების ახლომახლო მიმოდიან.

შაბათს ლისაბონიდან გაემგზავრა გერმანელების ორასი ოჯახი.

„ბერლინელ ლოკალ ანციგერ“-ი იტყობინება: ლისაბონში მყოფმა გერმანეთის კონსულმა 800 ბილეთი იყიდა რკინის გზით მადრიდში გერმანელების გასასტუმრებლადაო.

ლორენცო-მარკეზეში პორტუგალიის მთავრობამ დაატყვევა გერმანელების 4 გემი: „ადმირალი“, „კრონპრინცი“, „ესსენი“ და „გოფ“-ი.

საბერძნეთი.

ათინიდან იტყობინებიან: გერმანელების ჰაეროპლანმა მოკავშირეთა ბანაკს გადაუარა და ყუმბარები ესროლა.

ბულგარელებმა ნეიტრალ მიდამოში სცადეს სიმაგრის აგება, მაგრამ საბერძნეთმა აუკრძალა.

უკანასკნელი ფოსტა

დაღუპული გემი.

შავ ზღვაზე ამას წინად დაღუპეს რუსების გემი „ლეიტენანტ პუშჩინი“ ეს გემი ზღვაში ჩაუშვეს 1904 წ. მისი სისწრაფე 26 კვანძს უდრიდა საათში. შეიარაღებული იყო ორი 75 მილიმეტრიან ზარბაზნით, 4 ტყვიის მფრქველით და ორი ნაღმის მსროლელით. ზედ 60 მეზღვაური იყო.

დარდანელში.

ოსმალეთის მთავარი შტაბი იტყობინება: დარდანელში დიდი ბრძოლა მოხდა ჰაერში, ამ ბრძოლაში პირველად მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის ჯავშნიანმა ჰაეროპლანმა.

ენვერ-ფაშა.

ჟურნალ დე ბალკანის სიტყვით, ენვერ-ფაშა ეხლა იაფფაში იმყოფება.

ვერდენთან.

„რეჩ“-ი სწერს: 28 თებერვალს ბეტანკურის მიდამოებში, კორბოსა ვოს სიმაგრეებთან ბრძოლა მინელდა. დღემდე გერმანელებს ვერდენთან ბრძოლაში ჩაბმული ჰყავდათ თხუთმეტი კორპუსი. მათი ზარალი ორასი ათას მეომარს უდრისო.

ბრძოლის ველზე

დღევანდელ ბილიუტენებიდან როგორც ოფიციალი ცნობა ფრანგთა მთავარი შტაბისა, ისე ჰავასის სააგენტო თითქმის შეთანხმებული კილოთი გვაუწყებენ, ვერდენთან ბრძოლის მეორე პერიოდი დასრულდაო. ამ პერიოდის დასრულება უკვე კვირას მომხდარა. აი ამ დღეს შეამჩნიეს პირველი შენელება საარტილერიო ცეცხლისა, ამავე დღიდან გერმანელთა ქვეითა ჯარებს იერიშები აღარ განუახლებიათ.

რა მოხდა, რა ნაყოფი მიიღეს ამ მეორე პერიოდში გერმანელებმა? ამის პასუხად ერთი თვალის გადავლება ჰკმარა ოფიციალ ბილიუტენებისა, სადაც არეულ ცნობათა გაცხრილვის შემდეგ მივიღებთ ასე თუ ისე ზედმიწევნით ცნობათა ჯამს.

როგორც ვიცით, ვერდენის ოპერაციის მეორე პერიოდი სისასტიკით პირველს აღემატა. დაიწყო 21 თებერვალს. შემოტევა მოხდა ვერდენის ჩრდილოეთ-სექტორში. საარტილერიო სროლის შემდეგ მთავარი ციხის გასწვრივ ორდემონის ტყეში ქვეითა ჯარმა მიიტანა იერიშები, მეორე ძლიერ ფორტ ვოს ჩრდილოეთით და განადგურებულ ფორტ დუომონის აღმოსავლეთით. აქ მათ ერთი სიმაგრე აიღეს. ამის შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა აღმოსავლეთ ფრონტზე სოფელ ვეერის რაიონში, სადაც გერმანელებმა ხელთ იგდეს ფრუნი. შემდეგ ორი დღის სასტიკი ბრძოლისა იერიშით აიღეს „265“ მაღლობი. ამ იერიშში თითქმის ერთი დივიზია იღებდა მონაწილეობას. ფრანგები იძულებული გახდნენ დაეცალათ წინა პოზიციები ბეტანკურისა და მაასის შუა. აქ გამარჯვებით გერმანელებმა დაიმკვიდრეს ფორჟი, შემდეგ კორბოს ტყეს დიდი ნაწილი. მთელი ეს რაიონი მითაა საყურადღებო, რომ გერმანელებმა უზრუნველჰყვეს მთელი მარჯვენა ფრთა დუომონის გასწვრივ. ამიერიდან შიში აღარ ექნებათ, რომ ფრანგები ვერდენის ქვემოდან მაასის მარჯვენა ნაპირით ვეღარ დაეცემიან ზურგში მომქმედ მტრის ჯარს.

შედეგები ამ საშინელი ბრძოლისა დაწვრილებით ყოვლად შეუძლებელია გამოვიკვლიოთ. ჯერჯერობით კი საყურადღებოა ორი დეპეშა, რომელთაც ყრუ სახით საფრანგეთიდან მოაღწიეს: ერთი კლემანსოს განცხადება და მეორეც ჰავასის სააგენტოს ცნობა, რომ გერმანელები ძველს გამარჯვებათა გადათვლაში არიან თუ რამდენი ტყვე წაიყვანეს ამ ბრძოლაშიო. სახელდობრ რას ტრაბახობენ გერმანელები, არ ვიცით, ჰავასის სააგენტომ ეს მხოლოდ მშრალი სიტყვებით გვაცნობა, რაც შეეხება კლემანსოს, ეს კერძო ცნობაა, რომელიც ასეთს ლექს შეიცავს: „კლემანსო უთითებს გერმანელთა არტილერიის საგრძნობელ კონცენტრაციას და მოითხოვს დაუყოვნებლივ განმარტონ ყველა ის შეცდომები, რაც ვერდენის დაცვაში მოუვიდა ჩვენს მხედრობასაო“, კლემანსო, როგორც ერთი უგულითადესი პატრიოტი მოითხოვს „შეცდომათა განმარტებას“, მაგრამ რაში გამოიხატება ეს შეცდომა, რა იყო, რა მოხდა, ან რა ფორმულაში ჩამოაყალიბა ეს მოთხოვნილება მან, ჩვენ არ ვიცით, დეპეშათა ცნობა მწირია, დაწვრილებით არაას ამბობს.

მეორე ხარისხოვან ასპარეზთა შორის, რომელთა რიცხვი ასე რიგად დღითი-დღე იზრდება, ისევ კავკასიის ფრონტი იპყრობს ყურადღებას და რაოდენადმე ბალკანეთის ერთი პატარა კუთხე, ალბანეთი. რაც შეერთებული ძალებით გადალახულ იქმნა სერბეთი და მთაშაველთი, ეს უკანასკნელი ასპარეზი ყურადღების ობიექტივობას ჩამოჰშორდა. დეპეშები ფრიად ძუნწობენ მის შესახებ. უკანასკნელად მხოლოდ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი არღვევს ამ საზოგადო დუმილს და გვაუწყებს, **ავსტრიელთა ჯარები ვალონთან მოდიანო.** ეს ლაკონიური ცნობა ბევრი რამის მთქმელია. იგი ჰმოწმობს ბალკანეთში ოპერაციის სრულს მიწურვას. როგორც გვეხსომება, უკანასკნელი ცნობები ბალკანეთზე მხოლოდ ალბანეთის შესახებ მოდიოდა. აქ იტალიელთა მოწინავე ჯარები გადმოვიდნენ. მათ შესაგებებლად კევესის არმია გაემართა სამხრეთ ალბანეთით და ადრიატიკის ნაპირებით მოჰყვა ნელი და ბეჯითი ნაბიჯით წინსვლას. მთავარი მიზანი კევესის არმიისა ის იყო, რომ ამ სანაპიროებზე მოესპო მტრის ცოცხალი ძალა, რომელიც ნელ-ნელ მთელს სამხრეთ ალბანეთს ავსებდა. ამასობაში ვალონის რაიონში, რომელსაც ახსენებს ჩვენი კორესპონდენტი, იტალიელებმა გადმოსხეს დესანტი, მათ შეუერთდნენ განადგურებულ სერბიელთა და მთაშაველთა გადარჩენილი რაზმების ნაწილები, რომელთაც მთავარ ბაზად გაიხადეს კუნძული **კორფუ.**

პირველი შეტაკების ამბავი ავსტრიელ-ბულგართა და იტალელ-სერბელ-მთაშაველებისა მოვიდა 12 თებერვალს. ავსტრიელებმა ამ დღეს გაიმარჯვეს დურაცოს რაიონში, ხოლო სამი დღის ბრძოლის შემდეგ თვით დურაცოც მათს ხელში გადავიდა. საზოგადო მიზანი ავსტრიელებისა და ბულგარებისა ამ რაიონში გახლდათ ის, რომ მთელი სამხრეთი ალბანეთი ჩაეგდოთ ხელში, რათა აქედან დარაჯად სდგომოდნენ უსკიუბ-სალონიკის ოპერაციას. იტალიელებმა დურაცოს დაკარგვის შემდეგ დაიხიეს ვალონასკენ და აქ გარდასწყვიტეს სასტიკი წინააღმდეგობა.

თქმა არ უნდა, კევესის არმიას ბევრი გაჭირვება მოუხდებოდა უგზოობისა გამო და მიტომაც დურაცოს აღების შემდეგ ამბებიც მინელდა, თითქოს დევნაზე აიღეს ხელი. საზოგადო აზრი ტრიალებდა, ავსტრიელებმა საფრანგეთისკენ ვერდენის ოპერაციების მოსაწყობად აქედან ჯარები მიაშველოსო. შესაძლებელია ესეც ერთი მიზეზთაგანი იყო ამ ოპერაციის ლიკვიდაციისა. მაგრამ, როგორც სჩანს, კევესს კიდევ მოუკრებია ახალი ძალღონე, რომ გაუბედნია ვალონისკენ წასვლა, სადაც დამარცხებულთა ნაშთთან შეერთებული ალბანელთა ერთი ნაწილი და იტალიელთა საგრძნობი ძალები არიან გამაგრებული. ადვილად შესაძლებელია ამ ოპერაციამ მოკლე ხანში აახმაუროს დადუმებული სალონიკიც...

X.

თბილისი, 2 მარტი.

დახმარება სოფელს. აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის საკრებულოს სოფლის მეურნეობის საჭიროებებზედ ცნობების შეკრება, განუზრახავს, რომ შემდგომ ამისა გასაჭირში მყოფ სოფლის მეურნეო კრედიტისა და მუშა ხელის მოპოვებაში დახმარება აღმოუჩინოს. ეს ნაბიჯი უთუოდ საყურადღებო და საჭიროა, რომ მას მიბაძონ ყველა იმ დაწესებულებებმა, რომელთაც ამის საშუალება აქვთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთს რამეს დასავლეთ საქართველოშიდაც მოიმოქმედებენ.

დასავლეთი საქართველოს თავადაზნაურობას აქვს თუ არა იმის შედლება, რომ მან ასეთს, სოფლისთვის მეტად მძიმე დროს, სოფლის მეურნეობას ამა თუ იმ სახით შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს, ჩვენ არ ვიცით.

ის კი ცხადია, რომ სოფელი, როგორც ამერეთში, ისე იმერეთშიაც დიდს გასაჭირს განიცდის და დახმარებას მოითხოვს. მთავრობა ჩვენ სოფელს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. და მეტი გზა არ დაგვრჩენია—ჩვენი სუსტი საზოგადოებრივი ძალები უნდა ავამოქმედოთ. სოფლის მეურნეს ვენახის და ხეხილის წამალი ესაჭიროებათ. ზოგს კი მანქანა და მუშა ხარკამეში. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, რომ ოჯახი უკაცოდ არის დარჩენილი და, მაშასადამე, ჭირნახულის მოსაყვანად ოჯახს მუშა ხელი ესაჭიროება. ყოველივე ამის შოვნა შეიძლება, მხოლოდ ამისთვის საჭიროა შეთანხმებული მუშაობა.

ჩვენი სოფელი წვრილ საკრედიტო დაწესებულებებზედ და საკოოპერაციო ამხანაგობებზედ დიდს იმედებს ამყარებს. ეს უთუოდ სამართლიანია და ამ მხრივ მრავალი ამხანაგობა მუშაობს. მაგრამ სოფლის საჭიროება დიდია და ეს დაწესებულებები სავსებით ვერ შესძლებენ მის დაკმაყოფილებას.

აღმოსავლეთის საქართველოს მეურნეობას ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სდარაჯობს და შეძლების დაგვარად სოფლის საჭიროებებს ემსახურება. ეხლა საკრებულოც, უთუოდ რამე სახსარს გამოძებნის და ამ რიგათ ამერეთის მეურნეობას მიეშველებიან.

დასავლეთი საქართველოს სოფელი კი სრულიად მივიწყებულია. თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს დიდი თანხა აქვს გადადებული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების განკარგულებაში. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს ასეთი რამ მეურნეობის დამხმარე ორგანიზაცია არ შეუქმნია და დასავლეთი საქართველოს სოფელი ასეთს მძიმე დროში სრულიად უპატრონოდ რჩება. არ მოიპოვება მთლიანი ორგანიზაცია, რომელიც იღონებს და მოუპოებს სოფლელებს გოგირდს, შაბიამანს, თუ სხვა საჭირო წამლებს, აღმოუჩენს მათ დახმარებას სესხის თუ საჭირო მანქანების შოვნის სახით. ყოველი სოფელი, ხშირად თვითეული მეურნე იძულებული იქმნება თავის ძალით და საშვალებით იმოქმედოს და ცხადია, დასავლეთ საქართველოს მეურნეთ ყოველივე საჭირო საგნის მოპოება მეტად გაუძნელდებათ და იქნებ ბევრი მათგანი ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდენ, როგორც შარშან.

საჭიროა, რომ იმერეთის თავადაზნაურობამ და, განსაკუთრებით, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა, მიბაძონ თბილისის მაგალითს და სოფლის საჭიროებისთვის რაიმე საშუალება გამონახონ.

ქართული პრესა

სოციალისტ-ფედერალისტებმა, როგორც აღნიშნული გვქონდა, მტკიცება დაიწყეს—ჩვენში ყველა სხვა მიმართულებები ეროვნული აპოლიტიზმით არიან გამსჭვალული და მხოლოდ ჩვენ ვაწარმოებთ წმინდა ეროვნულ პოლიტიკასო. ამის შესახებ ჩვენი აზრი უკვე გამოვსთქვით. ეხლა მოგვყავს „თან. აზრი“-ს პასუხი.

„სახ. ფურცელმა“ აღარ იცის რა ქნას. ფედერალისტთა რაზმი აშკარათ ირღვევა. მას თანდათან შორდება ის ელემენტები, რომელნიც პარტიის მთავარ მასას წარმოადგენდენ. ნაციონალ-ლიბერალური პარტია ამ ელემენტებისათვის უფრო მიმზიდველი შეიქნა. აქეთკენ გარბის დღეს გუშინდელი ფედერალისტი-ინტელიგენტი, ვაჭარი და მრეწველი ტ „სახალხოელთა“ ეროვნული სოციალიზმიც დიდ გასაჭირშია. ქართველი ბურჟუაზიის დარაზმვა მის ხარჯზე ხდება. და აი, სახალხოელნიც“ ცდილობენ ეს მოვლენა თავის სასარგებლოთ ახსნან. მაგრამ რაც უფრო მეტს ცდილობენ, მით უფრო მეტ უაზრობაში ვარდებიან. „სახალხოს“ რომ დავუჯეროთ, ერთათერთი პოლიტიკურათ გაწვრთნილი ჯგუფი—ეს ფედერალისტებია, დანარჩენი „ქართველი საზოგადოება კი მოკლებულია პოლიტიკურ აღზრდას“.

ამას შემდეგ „თან. აზრი“ სამართლიანად ეკითხება „სახალხოს“ შენიშვნას: „ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს“—„თანამედროვე ბანს“—და „არა-სოციალისტური“—„საქართველო“-ს შორის „რაღაც იდილიური თანხმობა დამყარებულიყოს“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ორ გაზეთს შორის არც ერთს ძიდითად საკითხზედ ერთგვარი შეხედულება არ გამოუთქვამს. შემდეგ განაგრძობს.

„სახალხო“ ხშირად იქებს თავს „ეროვნული პოლიტიკით“. აი ახლაც ამ „პასპორტით“ გვევლინება. ჩვენ გარკვეული ეროვნული პოლიტიკა გვაქვს, „საქართველოს“ და „აზრს“ კი არა და ამიტომ არის, რომ ორივენი ჩვენ გვებრძვიანო.

რაში გამოიხატა მათი ეროვნული პოლიტიკა? ყოველი პოლიტიკა ხომ გამოსვლებში და მოქმედებაში იხატება. გაისარჯონ და გვითხრან, რომელი გამოსვლა მოაწყვეს ფედერალისტებმა ჩვენში, რა მოძრაობა შექმნეს მათ?

სრულიად არავითარი. პირიქით, როცა მათ საამისო საშუალება ეძლეოდათ, მუდამ უკან იხევდენ. ჭიათურის საბჭომ თავის შკოლაში ქართული ენის შემოღებაც კი უარყო. მრეწველთა სიეზდებზე მუშების წარმომადგენლები თხოულობდნენ ქართულ ენაზე კამათის უფლებას, ხოლო კიტა აბაშიძე და კომპანია ასეთი საკითხების წამოყენებას ებრძოდენ. მოიგონეთ გ. ზდანოვიჩის სამარცხვინო შუამდგომლობა.

ფედერალისტების ხელშია მთელი რიგი საზოგადო დაწესებულებათა. გამოიყენეს მათ თავისი მდგომარეობა ოდესმე რაიმე ეროვნული პოლიტიკის სასარგებლოთ?

არა!

მთელი მათი ეროვნული პოლიტიკა საგაზეთო წერილებში გამოიხატება. აქ ხშირათ შეხვდებით ხან მოთქმა-გოდებას და ფილაჯო ინტელიგენციის პესიმიზმს, ხანაც ქარაფშუტულ ტრაბახს და მამლაყინწობას.

მარა ეს თუ ეროვნული პოლიტიკაა, მაშინ ყველაფერი პოლიტიკა ყოფილა!

მარა ნუ ვიქნებით მეტისმეტი მკაცრი მკითხველო! „სახალხოელთა“ დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ მათ ბევრი რამე მიეტევება!

დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

სკანდინაველ მინისტრთა კონფერენციაზე სხვათა შორის განიხილეს საკითხი შესაძლებელია თუ არა მებრძოლთა შორის ვიშუამდგომლოთ ზავის ჩამოსაგდებადაო.

Cosriere sera **იუწყება: გერმანელები გაფაციცებით ემზადებიან საზღვაო ბრძოლისათვის.**

ავსტრიელთა ჯარები ვალონთან თავს იყრიან.

რუმინეთის ოფიციოზი სწერს: ოსმალეთის მთავარმა შტაბმა გადასწყვიტა გენერალური ბრძოლა მისცეს რუსებს ტიგროსის ველის ჩრდილო ნაწილშიო.

გ. ვ.

სოფელი და სოფლელები

სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.

(კრიტიკული მიმოხილვა)

(დასასრული. იხ. „საქართველო“ № 47)

სულიერად სრული და ფაქიზი სალომე ხორციელად მშვენიერი იყო. „ზღაპრად რომ იტყვიან—ვინც დღით იზრდება, ის თვითაო—სწორედ სალომეზე იყო ნათქვამი. გაიზარდა, გაივსო სისხლ-ხორცით, გაიზარდა მაისის ვარდისაებრ; სიბრგე და ახოვანება დედის გამოჰყვა; ელფერი, სინაზე და სინარნარე მამისა. სალომეს ლურჯი, ციაგი, ცისფერი თვალები მნახველებს აგიჟებდნენ; მისი სხივები მაცქერალის გულში ჩაიჭვრიტებოდნენ; საიდუმლოებათა ფარდას ხდიდნენ და კითხულობდნენ გულის ნადებს და პასუხს. ამისთანა თვალებზე იტყვიან ქართველები, რომ ზღვაში ნემსსაც არ გაუშვებს დაუნახავსო“. ლაზათიანი აღწერაა! საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ სოფრომ მგალობლიშვილს ძლიერ ეხერხება ფიზიკურ სიმშვენიერის ბუნებრივად და გაუზვიადებლად აღწერა. ასეთის აღწერისათვის მას ბლომად აქვს ნამდვილი, წმინდა ქართულათ უკეთ რომ ვსთქვათ, სოფლური სიტყვები და ფრაზები რომლებიც სოფლურ კოლორიტს აძლევენ ყველა მის აღწერადახასიათებებს. მოგეხსენებათ, რომ პოეზიის სამეფოში ენის ღრმად ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რისი მაქნისია ოცნებისაგან შექმნილი მშვენიერი სახე, თუ მას პოეტმა შესაფერი ხორცი ვერ შეასხა, საკადრისი სიტყვიერი მასალით ვერ შეამკო! პოეტური შემოქმედება მხოლოდ მაშინ არის სრული და უნაკლო, როდესაც მასში იდეა და ფორმა შეთანხმებული და ჰარმონიულია, როდესაც უნაკლოთ შეწყობილს იდეიურს ჩონჩხს შესაფერისი ხორცი ესხმება. ჩვენში ამ გარემოებას ღირსეულ ყურადღებას არ აქცევენ; და აკი ბევრი იდეიურად საყურადღებო ნაწარმოები ჩვენში მახინჯდება, ჰკარგავს თვის მხატვრულს ღირსებას ენის უვარგისობის გამო. (მოიგონეთ მაგ. ან. ფურცელაძე და მისი ნაწერები). სამწუხაროთ, ენის უცოდინარობა, უკეთ რომ ვსთქვათ ენის ლექსიური სიღარიბე უფრო ემჩნევათ ჩვენს ახალგაზდა მწერლებს. ძველი მწერლები კი, მაგ., ს. მგალობლიშვილი, ვ. ბარნოვი, ნ. ლომაური, მელანია, ავტორი „ბნელოსი“ კარგი მცოდნენი არიან ქართული ენისა. მაშასადამე ენის ცოდნა—განვითარებაც ჩვენში ბუნებრივის კანონს არ ემორჩილება: წინ არ იწევს, არ ვითარდება. ეს კი დამაფიქრებელი მოვლენაა... კიდევ ბევრი ტიპები ჰყავს გამოყვანილი ს. მგალობლიშვილს თავის მოთხრობებში (მოურავები, გადაგვარებული მებატონეები, მღვდლები, გლეხები, გლეხის ქალები, მოხელეები, პედაგოგები), მაგრამ ყველა მათი გაკვრით დახასიათებაც შორს წაგვიყვანდა; ამისათვის ჩვენ მათ ჯერ-ჯერობით თავს ვანებებთ.

გავაცანით რა მკითხველს ს. მგალობლიშვილის მოთხრობების შინაარსი, ჩვენ გვსურს ამის შემდეგ განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციოთ მწერლის ენას. ს. მგალობლიშვილი, როგორც ცხადათ სჩანს მისი ყველა ნაწერებიდგან, კარგი მცოდნეა ქართული ენისა, მისი ქართული მკვეთრი, სადა, მოხდენილი და ლაზათიანია. ის ტკბილი და ნარნარია, როცა სიყვარული გრძნობას აღგვიწერს, ლამაზი და ფერადოვანია, როდესაც ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერეს ასურათებს, მკვეთრი და ფოლადიანია, როცა სიბნელეს, გარყვნილებას და ბოროტებას კიცხავს და ამხილებს. ეს შინაგანი ღირსებაა მისი ენისა. მაგრამ გარეგნულადაც, სტილის მხრივადაც ს. მგალობლიშვილის ენა თითქმის უნაკლოა. მის ნაწერებში ვერსად შეხვთებით რუსიციზმს და ქართულ ენის კონსტრუქციის ძირიანად გადამახინჯებას, რაც ასე ხშირი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში.

წინადადების და მთლად სტილის მოხაზულობა მის ნაწერებში ნამდვილი წმინდა ქართულია. ამ მხრივ ზოგიერთი მისი ნაწერები ღირსია, რომ შეტანილი იქმნეს ქართულ ქრესტომატიებში...

ბოლოს, ჩვენ მოვალედ ვსთვლით თავის თავს მივაქციოთ მკითხველთ განსაკუთრებული ყურადღება ს. მგალობლიშვილის ქართულ ლექსიკონის სიმდიდრეზე. მის ნაწარმოებში ბევრი ჩვენთვის ახალი და ორიგინალური სიტყვები და ფრაზებია გაბნეული. ზოგიერთი მათგანი ისეთი მოხთენილი და მშვენიერია, რომ აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული საყოველთაო სახმარებლად. დღემდის კი ისინი ნეოლოგიზმებად არიან დარჩენილნი. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ჩვენში, ისინიც კი, ვისაც კალამი უჭირავს ხელში, ნაკლებად ან სრულებით არ იცნობენ ჩვენი მწერლების ნაწარმოებებს! არ უკვირდებიან მათს ენას, ტ ყველანი როგორც მოუხერხთებათ ისე ქართულობენ ჩვენ გვავიწყდება, რომ კარგი ენა კარგი მწერლობის დამამტკიცებელია. ჩეხოვი ერთ ადგილას ასე ამბობს: „ახალგაზრდა მწერალზე, მის ენის მიხედვით შეიძლება მსჯელობა; თუ ავტორს არ უვარგა ენა, ის მაშასადამე არას დროს არ იქნება მწერალი. მწერლად რომ გახთეს ვინმე, ამისათვის საჭიროა, ნიჭს გარდა, შრომა; და ყველაზე უწინარეს, შრომა ენის შესასწავლად“. ჩვენ აქ სანიმუშოთ ამოვსწერთ რამდენიმე სიტყვებს და ფრაზებს ს. მგალობლიშვილის მოთხრობებიდან, რომლებიც ჩვენ მიგაჩნია საყურადღებოთ ტ ლიტერატურაშიაც მისაღებად. აი ეს ფრაზები ტ სიტყვები: „თავის ნახევარი დღის ვენახს ერთი დღის **ნაფუზარიც** შეუმატა“; „კვახის **თაღარი** გაუმართავთ, მისივე **გეჯა** და ტკბილს სწურავენ“; „მოისმოდა **ღორღალი**, ყრუ ხმაურობა“; „შუბლი **გამოსტკვლეცოდა** და **უკაკაჩებდა**“; „თვალნი **დაუბურუსა**“; „ჩვენი ხალხი ძაან **თავაქალი** ხალხია“; „**თარხანი** მამულები“; „ერთს **მანყულათ** არ ღირს უსწავლელი კაცი“; „რა **ხალმახტერი** ხალხი გახთა ქვეყანაზე“; „დერეფანში ურმის თვალებს **ჰკვერცხავდა**“; „ქადებით თურმე ძველი **პრიდპრიალები** უდგია“; „ჭიოტი წვიმა **სცვარავდა**“; „მაჭარმა ვარცხველები **შეაჭიჭინა**“; „წყლისაგან **გაჭანარებულია** ნიადაგი“; „პირველი ძილი, ძილი **დაისისა**, მაგარია“; „მიიხედ, მოიხედა თვალი **მოიგარეულა** და შველივით გავარდა“; (მოთ. „ცვრევაზე“) „ქარაფშუტა და **ტუტრუცანა** იყო“; ქალი **გამოწუთხული** იყო კორსეტში“; „**დაბუზარავებული** მისთამაშებენ კიბეზე“; „ელამ თვალს **ჰკიჟამს**“. (მოთ. „ბალში“) „ადგა, **წამოიკუხა** ფარაჯა“; „ნახა **საღ-სალამათად** დატოვებული შვილი“; „მზისაგან ხელ-პირი **დაშაშრულა**“; „დაწექ, შვილო, ნუ **იღეღელავებ**“; „**კუპხა-კუპხა** ცრემლი ჩამოსცვივდა“ (მოთ. „დედა მაია“).

„**ფოხოლა** ყვავები“; „ბუხარში **მიაჩუვლებდა** ცეცხლს“; „რიხი **ვაინაჩრობით**“; „ფოტორი **მოიმზვლა** და შიდ **ღვლაპანი** მოვიღე“; „ძაღლს ხედავთ როგორ **დაიტიშა**“; „ჯავრით **ჰოპოქივით** გასქდებოდა“; „თამრო გაშრა, **გაბუცდა**“; „ლოყის თავები **დაუკვერდა**“; „ზაქრო წამოფრინდა და დასთან **ჭუტს** დაერჭო“; „მიითრია თმით, **ჯგვლიმა**“; „ცოლი **წიკვინებდა**“; „თვალები მეტის ცრემლით ჩაღვარძლებოდა“; „**აკარწახებული** კაბა ჩამოიშალა“; „მე **ზვირთი ყარია** ადამიანი მეჯავრება“; „გამოაჯახუნა დარბაზის **დევერხანა** კარები“; **აეფუტნა** თავში ათასგვარი ფიქრები“. (მოთ. „ღამის მეხრე ცეცო“). „**დაემინებული** ხალხი“; „იქ **შევიოკებთ** საქონელს“; „**აიჩლიავა** კომბალი“; საყდარი ჟამთა ვითარების გამო **დაფუცუნებულიყო**“; „პური ამოიღო და **ლოღვნა** დაუწყო“; „ცოლ-შვილი **გავათარხნოთ**“. (მოთ. „მეველე“). „**ჭირ-კოტიანი** გამოდგა“; „**ახორმაზი** ბატონი ყავთ“; „ფულს რომ დაეპირდებით, სულ **ელეტ-მელეტი** მოუვათო“; „გულის **ბუხარი** ჩემზე არ იყაროს მეთქი“; „ერთი **ხიჩატელი** რამ მოეგლიჯა ვენახში“; „წვრილ-წვრილათ **გაასარსლავა**“. (მოთ. „ჯორ-ზაქარა“).

——

ჩვენი საზოგადო დასკვნა ს. მგალობლიშვილის მოთხრობების შესახებ შემდეგია: ამ მოთხრობებში ცოცხლად აწერილია სოფლის ცხოვრება: გლეხის გასაჭირი, შრომა, მუშაობა, მისი სიღატაკე-სიბეჩავე, გონებრივი სიბნელე და შედეგი ამ სიბნელისა—ცრუმორწმუნეობა. მწერალი თვის მოთხრობებში გვისურათებს და არკვევს სოფლის მსოფლ-მხედველობას, გლეხ-აზნაურის ურთი-ერთობას; გამოჰყავს ახალი ტიპები დამოუკიდებელის, თავისუფლების მოყვარულის ქალების, ენერგიულის შეგნებულის და სოფლისთვის თავგანწირულის ვაჟებისა, ღვთისნიერის, კარგის ბატონისა და აზნაურისა; ზოგს მოთხრობებში მწერალი კარგს ფსიქოლოგობას იჩენს (გაიხსენეთ ანალიზი სიყვარულისა, დამნაშავის განცდისა). საზოგადოდ ეტყობა, რომ ავტორი კარგად იცნობს ჩვენი სოფლის ცხოვრებას, სოფლის მტერ-მოყვარეს; ესმის სოფლის მაჯის ცემა, მისი სულის კვეთება, მისი ჭირვარამი. მწერალი ღრმად გრძნობს ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმშვენიერეს, სილამაზეს და უყვარს ნათესაურის სიყვარულით. ენა, სტილი მწერლისა მდიდარი და ნამდვილი ქართულია. სოლეციზმებს მის ნაწერებში თითქმის არ შეხვთებით. მაგრამ მოთხრობებში ნაკლიც არის. ჯერ

ახალი ამბავი

სასიამოვნო საქმე. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, გაითვალისწინა-რა ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელიც ჟამთა ვითარებამ წილად არგუნა ქართველ მაჰმადიანებს და აგრეთვე ისიც, რომ მათთვის უმთავრესად ყოვლისა საჭიროა საიმედო სამუშაო, რომელიც მათ ღუკმა პურს მოუპოვებს, საჯარო ვაჭრობით აიღო გზატკეცილის გაყვანა ბათომიდან ახალციხამდე, საცა ეს გაჭირვებული ხალხი იმუშავებს. სამუშაო არის სულ 66.000 მანეთისა. ბე უკვე წარადგინა საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. 29 თებერვალს მეფის ნაცვალმა დაამტკიცა ვაჭრობის შედეგი.

საავადმყოფოს რევიზია. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების საექიმო სექციის თავმჯდომარე ექ. ი. ს. ელიაშვილი ქობულეთს გაემგზავრა აღნიშნულ საზოგადოების იქაურ საავადმყოფოს დასათვალიერებლად.

აჭარის სკოლების მასწავლებლები. ამ დღეებში არჩეული მასწავლებლები აჭარის სკოლებისა თამარ დარეჯანიშვილი, ელენე ციცქიშვილი, პელაგია გელაშვილი, ბარბარე ბრეგვაძე, მარიამ კალანდაძე, აპ. წულაძე, სტ. ნიკოლაიშვილი და სვ. ჯიღაური გუშინ, 1 მარტს, თბილისიდან წავიდნენ თავ-თავიანთ სკოლებში.

თათბირი ბოსტნის გაშენების შესახებ. თბილისის ქალაქის მცენარეულობის მომშენებელ კომისიას დღეს 2 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, თათბირი ექმება შესახებ იმისა, რომ საქალაქო მიწებზე ბოსტნები მოაშენოს.

თათბირი სოფლის მეურნეობის შესახებ. თბილისის მაზრის თავადაზნაურთა მარშლის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თაოსნობით 9 მარტს შესდგება კერძო თათბირი, რომელზედაც მიწვეული არიან მეურნენი. თათბირის საგანია ღონისძიებანი გამოინახოს სოფლის მეურნეობის დასახმარებლად ამ გაჭირვებულ დროს. სხვა ღონისძიებათა შორის დასახულია შუამდგომლობა აღიძრას, რომ მუშათა არტელები იქნას დაარსებული სოფლებში სამუშაოდ.

კახეთის რკინის გზის დათვალიერება. 6 მარტს საგანგებო მატარებლით კახეთს მიემგზავრებიან კახეთის რკინის გზის გამგეობისა და სარევიზო კომისიის წევრები.

მ. ზ. ყიფიანი. დღეს, 2 მარტს, 25 წელიწადი შესრულდა მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის გადრაცვალების შემდეგ. განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების წარმატებაში. მისი მეცადინეობით, სხვათა შორის, 1888 წელს დაარსდა ქ. შ. წ. გ. საზოგადოების სკოლა კავკავში და მანვე დაარსა იქ კომიტეტი, რომელიც ამ სკოლის დამოუკიდებლად შენახვას იმ თავითვე შეუდგა. წერაკითხვის საზოგადოების გამგეობა დღეს, დღის 2 საათზე, პანაშვიდს გადაახდევინებს ქვაშვეთის ეკლესიაში ნაყოფიერ საზოგადო მიღვაწის სულის მოსახსენებლად

ერთი რომ მწერალს არ ეხერხება რთული ფაბულის მწყობრად, მხატვრულად განვითარება და გაშუქება. იქ, სადაც საჭიროა მხატვრული კალმის მოსმა, სურათების ცხადყოფა და დასურათება, ხშირად ავტორი ბევრს მსჯელობს და ქადაგებს; მისი, მაგ., მოზრდილი მოთხრობა „ჯორ-ხაქარა“ მხატვრულს შთაბეჭდილებას არ ახთენს: ის მოკლებულია მხატვრულს ბთლიანობას; მას ეტყობა მრავალსიტყვაობა, სენტენცია-ქადაგება და უმთავრესად კი—იდეათა ანაქრონიზმი.

სხვა მოთხრობებშიაც აქა-იქ შეხვთებით ტენდენციურს და ულაზათო დახასიათებას, უკეთ რომ ვსთქვათ—კარიკატურისა; მშრალს სენტეციას, ცოცხალი ტიპის ნაცვლად. ასეთია, მაგ. ტიპი აფიცერისა და ანეტასი მოთხრობაში „დიდ ზალაში“. ზიზო და მისი მოტრფიალე ვასილი გონების ძალდატანებით შედგენილი მსჯელობაა და არა ცოცხალი ტიპი, კარიკატურაა და არა ადამიანები. ასეთივეა თავადი იერონიმე. ზოგს მოთხრობებს ცრუ იდილიის ელფერი აქვს. (მათ. „ცვრეევაზე“) მაგრამ რაც გინდა იყოს, ს. მგალობლიშვილი ღირსია ჩვენი ღრმა ყურადღებისა და მადლობისა; მისი შრომა და ღვაწლი დაფასებულ უნდა იქნეს ქართველ საზოგადოებისაგან: ეს დაფასება და პატივის ცემა, თუ სხვა რამეში არა, იმაში მაინც უნდა გამოიხატოს, რომ გამოიცეს სრული კრებული მისი ნაწერებისა და მით უნდა დაუახლოვოთ და შევაყვაროთ ჩვენი მწერალი გათვითცნობიერებულს ქართველს საზოგადოებას. მწერალს ჩვენ სულიერად ვენათესავებით და შევიყვარებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის ნაწერებს, იდეებს, სურათებს გავეცნობით და შევისწავლით. საფუძვლიანი შესწავლა და გაცნობა კი უწიგნოდ შეუძლებელია. ჩვენი მწერლების წიგნები ჩვენში თითქმის არ მოიპოვება. და აკი, ვიმეორებ, ერთხელ კიდევ, ჩვენ არც ვიცნობთ, არც შევთვისებივართ სულიერად ჩვენს მწერლებს. დამეთანხმებით, რომ ის ზეიმი და ვაი და ვიში, რომელიც იმართება და გაისმის საქართველოში ჩვენი მწერლების იუბილეებზე და დამარხვაზე, ზერელეა, გარეგნულია, ფეხის ხმის აყოლაა, ხშირად თვალთმაქცურია და არა შეგნებული და განცდილი, ღრმა და საფუძვლიანი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ 90 პროც. მოზეიმე ან მომტირალი საზოგადოებისა არ იცნობს, არ შეუსწავლია, არ წაუკითხავს ის, რისთვისაც ისმღელვარებს შფოთავს, ფიცულობს აღთქმას სდებს. თუ ასეთია ბედი ჩვენის დიდი მწერლებისა, მაშინ რა უნდა ითქვას იმ მწერლებზე, რომლებიც მეორე ან მესამე რიგზე დგანან? მაგალითისთვის შორს არ წავალ. მოგახსენებთ, რომ იმ მწერალმა, რომლის ნაწერების სუსტი განხილვა დღეს თქვენ მოისმინეთ, დიდის გაჭივრებით შეაგროვა თვისი ნაწერები და რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენის თხოვნით გადმოგვცა ჩვენ. თუ თითონ მწერალს და მისი ნაწერები მიმოხილველს უჭირს წიგნების პოვა, მაშინ კერძო მკითხველი ხომ უარეს მდგომარეობაში იქნება?!

ეს ასე არ უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ აყვავდეს ჩვენი მწერლობა, თუ გვსურს, რომ ჩვენ მწერლებს ბევრი მკითხველი და პატივისმცემელი ჰყავდეს.

იპ. ვართაგავა.

გადამდები სნეულებანი. გუშინ, 1 იარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 111, ხუნაგიანი 32, ყვავილიანი 2, სახადიანი 43, საოფლიანი 11 კაცი.

შემოიტანეს თბილისში 28 და 29 თებერვალს: ფქვილი 18 ვაგ., ღვინო 6 ვაგ., შაქარი 17 ვაგ., ბურღული 1 ვაგ., მარილი 6 ვაგ., სპირტი 1 ვ., ქატო 1 ვაგ.. შეშა 25 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 11 ვაგ., ფიცრები 1 ვაგ.

ახალ კლუბის წევრებად აირჩიეს: ა. ი. გურკო, ვ. დ. გაბაშვილი, ა. თოფჩიბაშევი, ვ. გ. ქართველიშვილი, ლ. ვ. მარსოვი, ა. ს. ნიჟარაძე, პ. ვ. კიზირია, ხ. გ. გვლიაშვილი, ი. მ. ორბელიანი, გ. ტ. რობაქიძე, ი. ო. იოსელიანი, გ. ლ. კოტიევ, მ. ი. თოიძე, თ-დი ლ. ა. თუმანიშვილი, ლ. დ. ხიზანაშვილი, ა. მ. გიჟიმყრელი, ს. ი. საგინაშვილი, გ. მ. გიჟიმყრელი, ს. ი. ევლახიშვილი, ა. დ. კეკელია, დ. ა, ფაღავა, გ. გ. ქართველიშვილი, ნ. ე. ქობულაშვილი, დ. ა. დაფქვიაშვილი, ი. მ. ქართველიშვილი, დ. ი. პარკაძე, ა. პ. ნეიმანი, გ. ლ. მაჭავარიანი, ა. ი. ტურიაშვილი, ხ. მ. ალი-კაფაროვი, ვ. გ. აბდუშელიშვილი, ე. მ. კარგარეთელი, ს. ი. ახვლედიანი, ა. ფ. სარაჯიშვილი, ი. მ. კოსტავა, პ. ხ. აბულაძე, ა. ბ. გრიგოლია, ნ. ე. წვერავა, ი. გოგოლაშვილი, ე. ი. თარხნიშვილი, ი. გ. ავალიშვილი, ნ. ს. გაბაშვილი, ა. ი. ტატიშვილი, მ. ი. ციციშვილი, ი. პ. სიმონსონი, კ. მ. ბარნოვი, ა. კ. კორინთელი, ი. გ. ამირეჯიბი, ი. ნ. ზედგინიძე, ს. ს. ჯუღელი, კ. მ. კაკაბაძე.

თბილისში ჩამოვიდა აზრუმის გმირი გენ.-ინფან. ნ. ნ. იუდენიჩი და მეფის ნაცვალთან იყო სადარბაზოთ, შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

საქართველოს სამხედრო გზაზე სამხედრო უწყება აპირებს სამგზავრო და საქონლის მოძრაობის მოწყობას. ამ საკითხის გადასაწყვეტად გუშინ დაიწყო თათბირი მეფის ნაცვლის თანაშემწის გენ.-ლეიტ. თ-დ ორლოვის თავმჯდომარეობით.

ტრავმატოლოგიურ ინსტიტუტის მოწყობის საკითხი ქალაქთა კავშირის ხარჯით უკვე გადასწყდა. ინსტიტუტის აგების ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 280 ათასი მანათი 60 საწოლით.

ქალაქთა კავშირმა დღეიდან დახურა საავადმყოფო დაჭრილ მეომარ მხედართა ს. ქედაბეგში, ბორჩალოს მაზრა.

საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა ახალციხეს. სხდომები გასტანს 6 მარტამდე.

კავკასიის საბრეშუმო სადგურთან 15 აპრილიდან—1 თიბათვემდე იწყება უფასო კურსები, აბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის. ცენზი სწავლისა საჭირო არ არის წლოვანობით მსმენელნი 16 წლისაზე უმცროსნი არ უნდა იყვნენ.

მეაბრეშუმეთა კრება. დღეს 2 მარტს საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადოების წევრთა კრება.

+ პოდპორ. თ-დი ირაკლი ივ. ხიმშიაშვილი

დღეს, 2 მარტს მიწას აბარებენ ომში მიღებულ ჭრილობისაგან გარდაცვალებულს ირაკლი ხიმშიაშვილს. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ერთგული და გულწრფელი ამხანაგი, ყველასათვის მოსიყვარულე ბევრს სხვა ჩვენ მოძმეთა შორის მსხვერპლი გახდა მსოფლიო ომისა.

ყველაფერს მივეჩვიეთ, ყველაფერს გულგრილათ ვუცქერით ამ საერთო უბედურობის დროს. მიუხედავათ ასეთი საზოგადო ინდიფერენტიზმისა, ვინც კი იცნობდა ირაკლის უეჭველად გული დაეთუთქება და მწარე ცრემლს გადმოჭღვრის.

მართლადაც სატირელია როდესაც მუდამ დღე გვიკარგავენ მხნე, ჯანსაღ და ახალგაზდა მამულიშვილებს.

საუკუნოთ იყვეს ხსენება შენი ტკბილო მეგობარო.

ი. თ.

საყურადღებოდ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელიც ამ თვის პირველ რიცხვებში უნდა მოწვეულიყო, დროებით გადაიდვა შემდეგისათვის. სამაგიეროდ ზოგიერთი კითხვის გადასაწყვეტად უცილებელი გახდა წევრთა საგანგებო კრება, რომელსაც ვიწვევთ **კვირას, ამ წლის 6 მარტს, დილის 11 საათზე,** სასოფლო-სამეურნეო ბანკის სადგომში, (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, 61). კრება განიხილავს უძრავი ქონების შეძენის საკითხს და სხვა საჭირბოროტო მიმდინარე საქმეებს.

ვაცხადებთ რა ამას სარაიონო განყოფილებათა საყურადღებოდ, უმორჩილესად ვთხოვ საზოგადოების წევრებს, განსაკუთრებით თბილისში მყოფთ, დაესწრნენ კვირის საგანგებო კრებას.

ქარ. საქ. საზ. მთავარი გამგეობა.

რჩეული კაცები—ანუ ოცის თავები

ყველა გაიგებდა, რომ ამ წლის პირველ იანვრიდან სოფლად დაწესდა, რომ ოცი კომლი თავიანთ წარმომადგენელად ირჩევს ერთ კაცსა, რომელსაც ანდობს სოფლის ყოველივე საქმეებს.

რჩეულ კაცს ევალება მამასახლისის და სოფლის მოსამართლეების არჩევა,—მეველეების და მენახირეების დაყენება,—ობლების მზრუნველის ამორჩევა.

მასთანავე რჩეულ კაცებს თვალ-ყური უნდა ეჭიროთ სოფელში, უწესოება არა მოხდეს-რა; ვინიცობაა, ქურდობა მოხდა, მათი ვალია ქურდების აღმოჩენა.

საერთო საზოგადო საქმეები, ესე იგი, სკოლების გახსნა, ეკლესიების განახლება და სხვა რაიმე კულტურული დაწესებულების დაარსება მათ ეკითხვით.

მათი ვალია სოფლის ყოველივე ხარჯები მოაწესრიგონ.

ერთის სიტყვით—სოფელს აღარა ეკითხვის-რა, სოფლის ყოველივე საქმეები ოცის თავებს დაეკისრეს, მამასახლისი კი თავისუფლდება სოფლის საქმეებისაგან და მას ეკისრება მხოლოდ საპოლიციო საქმეები.

მამასახლისს საქმეები უნახევრდება, სამაგიეროდ რჩეული კაცები კი სოფელს უნდა ემსახურონ უფასოდ—კრების საგანი: კარგი თესლის მიწოდება, თესლის დამამზადებელთ დახმარება ფულით და სხვა საკითხები.

საზოგადო კრება. კვირას, 28 თებერვალს, შესდგა საზოგადო კრება ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრისა. კრება გაიხსნა დღის $12^1/_2$ საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. თ. კეკელიძე. მდივნად ბ. ივ. მჭედლიშვილი. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა: 1) ანგარიში წრის მოქმედებისა 19.4—15 წლის განმავლობაში. 2) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სეზონისთვის. 3) მიმდინარე საკითხები და ბოლოს მოახდინა არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა. არჩეულ იქმნენ: გამგეობაში: თ. ნასიძე, ალ. ჩერნიშევი, ი. აბულაძე, ნად. ბაღდოევისა და შაქრო ხატიშვილი. სარევიზიო კომისიაში: თ. კეკელიძე, ალ. დავიდოვი და ივ. მაისურაძე. კრებამ დაადგინა აგრეთვე ჩაეწეროს წევრებათ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში და წარმომადგენლებად აირჩია: გ. მამრაძე, თ. კეკელიძე, თ. ნასიძე. კრება დაიხურა საღამოს 6 საათზე.

სახელმწიფო სათათბირო

29 თებერვლის კრება.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას იხილავენ.

მომხსენებელი ფირსოვი პირველი. ხარჯთ-აღრიცხვა მომეტებულ ნაწილად ძირითად კანონთა 87 მუხლის ძალით არის დადასტურებული. ხარჯთაღრიცხვის კომისია მოითხოვს, რომ მთელს რუსეთში დაუყოვნებლივ გაუქმდეს პოლონელთა უფლებების შეზღუდვა, შესაფერ კანონის გამოცემამდე და დონის ოლქში ერობა შემოიღონ.

შიდლოვსკი პირველი. პრინციპი „ძალა ერთობაშიაო“ ყველასთვის გასაგებია ჩვენი მთავრობის გარდა. მაშინაც კი, როდესაც მთავრობა გაერთიანებისაკენ მოუწოდებს, დასძენს „ომუშავეთ ჩვენთან და ის გააკეთეთ რასაც ჩვენ გეტყვითო“, თვითონ მთავრობის წრეში არ არსებობს ის ერთობა, რომლისკენაც სხვას მოუწოდებენ. მტკიცე მთავრობა, მათის აზრით მუდამ წინ უნდა ეღობებოდეს საზოგადოებრივობას, თორემ სისუსტეში ჩამოართმევენ. ასეთი აზრი მთავრობის პრესტიჟის უკულმა გაგებაა და არა მისი სიმტკიცე.

ამას შედეგად მოსდევს სრული გათიშვა საზოგადოებისა მთავრობისაგან და მტერ-მოყვრული დამოკიდებულება. მთავრობის წრეებში ფეხი მოიკიდა ძველებურმა ბიუროკრატიულმა წესმა და მთავრობის არაკად იქცა „საქმე მგელი ხომ არ არის რომ ტყეში გაგვექცესო“. არამც თუ რუსეთის სახელმწიფოს ტ რუსეთის ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის მერმისი ძველისაკენ პირის მიბრუნება კი არა, ახალი გაუმჯობესებული გზის ძიებაა. შიდლოვსკი მოითხოვს ყველასაგან პასუხისმგებლობას, მით უმეტეს ასეთი განსაცდელის დროს, როდესაც უფლება არავისა აქვს პასუხისმგებლობას გაექცესო. (ტაშის ცემა).

სავენკო. რეაქციის ბნელი კუთხეებიდან გაისმა ხმა სეპარატიულ ზავის ჩამოგდებაზე. ამ ზავის მოთხოვნას ხელს აწერდნენ შჩეგლოვიტოვი, მაკლაკოვი და ბარონი ტაუბე (მარცხნივ ხმები: „მოლალატენი“) ამ საქმეზე ათი მილიონი არ იკმარებს, და კიდევ 5 მილიონიც წაამატებინეს. ასეთი ზომებით რა თქმა უნდა კიდევაც შეიძლება რამდენიმე პიროვნების მოსყიდვა, მაგრამ მოსყიდვა რუსეთის საზოგადოებრივ აზრის ყოვლად შეუძლებელია. მთავრობა კეთილგანწყობილების მომხრეა, მთავრობის გაზეთი „ზემშჩინა“ კი სათათბიროს მოწვევის წინააღმდეგ ილაშქრებს. პროვინციებში სათათბიროს სხდომების ანგარიში მხოლოდ დეპეშათა სააგენტოს რედაქციით შეუძლიანთ ბეჭდონ. ამ სახით ბეჭვდითი საქმის მდგომარეობაც უფრო გაუარესდა. ჩვენი მთავრობა ვიწრო პარტიულ გზას ადგია მოსკოვში საერობო ყრილობას კრების ნება არ მისცეს, პოლიტიკას შეეხებაო. უკიდურეს მემარცხენეთა ყრილობა კი მოსკოვშივე მოხდა. გვეუბნებიან, ჯერ გამარჯვება, მერე რეფორმებიო.

მაგრამ ხომ გახსოვთ, როდესაც მთავრობა გვეუბნებოდა: ჯერ დაწყნარება მერე რეფორმებიო. როდესაც სიწყნარე დამყარდა, მთავრობამ განგვიცხადა: რეფორმები რაღა საჭიროა, როდესაც სიწყნარე ჩამოვარდაო.

პროგრესიულ ნაციონალისტების ფრაქცია და მთავრობა ერთის გზით ვერ ივლიან. ასეთ მთავრობასთან შეიძლება დროებითი ზავის ჩამოგდება მხოლოდ ფრაქციის მიერ წამოყენებულ პირობებზე შეთანხმებითაო. ქვეყანამ და სათათბიროს ბევრი დასთმეს, ეხლა მთავრობის ჯერია. (ცენტრსა და მარცხნივ ტაშის ცემა).

აჯემოვი. 1914 წ. მაისში სათათბირო დაჰგმო მთავრობის პოლიტიკა საზოგადოებრივ სამართლიან ბრძოლისა. ეხლა ომმა დაამტკიცა, რომ სათათბირო მართალი იყო, და ამ ბრძოლამ სახელმწიფოს ძლიერება მართლაც შეარყია. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა ამ კათედრიდან პირდაპირ განაცხადა: სათათბიროს უმრავლესობასა და ჩემს შორის ისეთი დიდი უფსკრულია, რომ ერთმანეთის გაგებასაც ვერ მოვახერხებთო.

ეხლა მის ადგილას მემარჯვენეთა ფრაქციის თავმჯდომარეა, მან უპირველესად ზურგი აქცია მემარჯვენეებს და სხვისი სამოსელით გამოეწყო. ბოლოს გამოირკვა, რომ მისი ნაბიჯიც მხოლოო ლიტონი სიტყვები იყო. შინაგან საქმეთა მინისტრს ერთი ზნეცა სჭირს. მან მოისურვა ლიბერალურ პრესის გამოყენებაც და ამავე დროს დაარსა ბეჭვდითი საქმის ბიურო გურლიანდის ხელმძღვანელობით. ეხლა სამინისტროში ვერც ერთი გაზეთს თანამშრომელი ვერავითარ ცნობებს ვერ მიიღებს.

მერე სხვაფრივ დააყენეს საქმე. მოუსვენარ გაზეთებს ისე გვიან აძლევდნენ ცნობებს, რომ მათი გამოყენებაც აღარ შეიძლებოდა. აჯემოვი ასე აბოლოვებს სიტყვას: 1905 წლის უფლებების მოსაპოვებლად ეხლა უკვე თვით ხალხი გამოვა. (მარცხნივ ტაში).

(დასასრული იქნება)

ქალაქის საბჭო

29 თებერვალი.

თავმჯდომარემ **ა. ი. ხატისოვმა** კრებას მოახსენა, რომ თბილისში ჩამოვიდა ინფანტერიის გენერალი იუდენიჩი და მასთან ვიყავიო და ქალაქის თვითმართველობის სახელით აზრუმში გამარჯვება მივულოცეო. გენერალი მილოცვისათვის მადლობას უცხადებს ქალაქის თვითმართველობასაო. აგრეთვე ბ-ნმა ხატისოვმა საბჭოს აუწყა დეპუტატ კარლო ჩხეიძის ავადმყოფობა და განაცხადა, რომ ავადმყოფს დეპეშა გავუგზავნეო, რომლის საპასუხოდ დეპეშით მადლობას იწერება და მატყობინებს, რომ ამ ჟამად უკედ ყოფილაო.

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა მორიგ საქმეებზე და კრებას აუწყა, რომ მარტის 12—15 რიცხვებში მოსკოვში შესდგება მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის მეორე კრება, რომელსაც ჩვენი წარმომადგენელიც უნდა დაესწროს და ვრცელი მოხსენება წარადგინოს კავშირის კავკასიის განყოფილების მოქმედებისა, რომელსაც ამ ჟამად დიდ ყურადღებას აქცევენ, რადგან ჩვენი მხედრობა მტრის შუაგულ სამფლობელოში შეიჭრა და მხედრობის ზურგის გამაგრებას უაღრესი მნიშვნელობა აქვსო. ორატორმა განაგრძო, რომ კავშირის მთავარი კომიტეტი თხოულობს მე დავესწრო კრებას, მაგრამ ეს საბჭოს ნებაა, უნდა მე გამგზავნის, უნდა სხვასაო. მოხსენება უკვე მზადდება კრებაზე წარსადგენად და სხვა თუ ვინმე წავა, მზამზარეულ მოხსენებას თან წაიღებსო. ორატორმა შემდეგ კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალაქთა კავშირს გადაწყვეტილი ჰქონია გახსნას ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტი, რომლისათვისაც გადაიდვა 250.000 მანეთი და იმ 10 ქალაქთა შორის, საცა ეს ინსტიტუტი უნდა გაიხსნას, თბილისიც ჰქონიათ მხედველობაში. ამიტომ ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ აქედან გაგზავნილმა წარმომადგენელმა იმეცადინოს ინსტიტუტი თბილისს არ აშორდეს.

კრებამ ერთხმად ა. ი. ხატისოვი აირჩია თავისს წარმომადგენლად აღნიშნულ კრებაზე დასასწრებლად.

სურსათ-სანოვაგის საკითხი

თავჯდომარე. შეეხო ამ დღეებში პურის სიმცირეს თბილისში და აღვიარა, რომ ეს კრიზისი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ თბილისში მხოლოდ ქერჩიდან მოტანილი ფქვილი იყო, რომელიც როგორც დანამდვილებით გამოირკვა, თორნეში გამოსაცხობად უვარგისია, რადგან თორნე ცომს არ იჭერს და ცომი ცეცხლში ცვივა და ფუჭდებაო. გარდა ამისა ეს ფქვილი გამოცხობის შემდეგ სხვა ფქვილთან შედარებით ცოტას მატულობს წონაში. ამ გარემოებამ მეთორნეები აიძულა პური აღარ გამოეცხოთ, რათა ზარალისაგან თავი დაეხწიათ, ხოლო მეფურნეები პურს კი აცხობდნენ, მაგრამ ისინი ვერ ასდიოდნენ მთელ თბილისსაო. შემდეგ ორატორმა ამცნო საბჭოს, რომ ყველა ხარისხის პურზე მეპურეებს ნახევარი კაპეიკი მოემატათ, რამაც მეთორნეები არ დააკმაყოფილა და კიდევ ნახევარი კაპეიკის მომატებას თხოულობენ, მაგრამ ეს თხოვნა ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ არის დატოვებული, რადგან იმედია, რომ ფქვილი სხვა ადგილებიდან მოვა ხვლით და მოტანის უფრო [illegible] ორატორმა დაწვრილებით [illegible] თუ რა ღონისძიებანი არის ნახმარი სურსათ-სანოვაგის მოსახიდად და მოტანის ქირის გასაიაფებლად და განაცხადა, რომ ფქვილის მხრივ, ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში მაინც, უზრუნველ ყოფილი ვართო; შაქარი სრულიად საკმარისი არისო; მხოლოდ კარტოფილის მოტანა ვერ მოუხერხებიათ ჯერ, მიუხედავად იმისა რომ მეფის ნაცვალსაც-კი უბძანებია დაუყონებლივ მიეცათ ვაგონები კარტოფილის წამოსაღებად.

გადამდები სენი

თავჯდომარის მოხსენებით, გადამდები სნეულებანი იმდენად შესუსტდა თბილისში, რომ ამ მხრივ აღარავითარი შიში არ არის. ქუნთრუშა, მაგალითად, წინა თვეებში ისე მძვინვარებდა, რომ ყოველ დღე იმყოფებოდა საავადმყოფოში ამ სენით შეპყრობილი 160—170 კაცი, ეხლა კი მხოლოდ 109—110 კაცი იქნება, ამ ჟამად საავადმყოფოდან ბევრად უფრო მეტი ეწერება, ვინემ ავად ხდება, წინად-კი წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. საშიშრობა იყო აზრუმის აღების შემდეგ სახადისაგან, რადგან ეს სენი მომეტებულ ნაწილად ტყვე ოსმალებს შემოაქვთ თბილისში, მაგრამ ეხლა ნაბძანებია რომ სახადიანი ტყვეები სარაყამიშს აქეთ არ გამოგზავნონ და ამ რიგად თბილისი დაცული არისო.

ინსტრუქცია ხმოსანთა არჩევნების შესახებ

საბჭოს მოხსენდა გამგეობის მიერ შედგენილ ინტრუქციის პროექტის შესახებ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნების წეს-რიგისა. არჩევნები უნდა მოხდეს 1, მე-2 და მე-3 საარჩევნო უბნებში 20 მარტს, მე-4 მე-5 მე-6 და მე-7 საარჩევნო უბნებში 27 მარტს და დამატებითი არჩევნები 3 აპრილს. ამ რიგად მთელი პროცედურა არჩევნებისა დამთავრდება აპრილის დამლევამდე და 1 მაისს განახლებული საბჭო ეყოლება თბილისს. არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ ის ამომრჩევლები. რომელნიც ჩაწერილი არიან უკანასკნელად შესწორებულ და გამგეობის მიერ 20 თებერვალს გამოქვეყნებულ სიებში. ამომრჩევლები მხოლოდ იმ საარჩევნო უბანში მიღებენ მონაწილეობას, რომლის სიებშიაც ისინი ჩაწერილი არიან.

კრებამ უკამათოდ დაამტკიცა ინსტრუქცია.

შეკითხვები.

ხმ. პ. გოთუა. ვინ აწარმოებს საარჩევნო საქმეებს?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** ქალაქის გამგეობა აწარმოებს.

ხმ. პ. გოთუა. არჩევნების საქმეს უნდა აწარმოებდეს ქალაქის მდივანი, როგორც საბჭოს მიერ არჩეული პირი და ნდობით აღჭურვილი. ეს ასე ხდებოდა წინად. ეხლა-კი საქმეები გამგეობის მოსამსახურეთა ხელშია, რომელთაც საბჭო სრულებით არ იცნობს.

თავმჯდომარე **ხატისოვი.** პასუხის მგებელი ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობაა, ისე როგორც წინად იყო. მაშინ თუ ქალაქის მდივანი აწარმოებდა საარჩევნო საქმეს, ეს იმას როდის ნიშნავს, რომ უთუოდ მდივანი იყო ვალდებული ეს საქმე ეწარმოებინა და გამგეობა პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყო. პასუხისმგებელი საქმის სისწორეში მთელი გამგეობაა, ხოლო საქმეს აწარმოებს კუთვნილებისამებრ გამგეობის პირველი განყოფილება.

ხმ. მიტკევიჩი. დღესა და გუშინ და საზოგადოდ ამ უკანასკნელ დღეებში მიხეილისა და ჩერქეზიშვილის ლიანდაგების მხრიდან ერევნის მოედნისაკენ ხშირად მთელ ნახევარ საათს იგვიანებენ ტრამვაის ვაგონები. სხვა მხრიდან-კი ვაგონები შედარებით დროზე დადიან. ამ გარემოებას ყველამ მიაქცია ყურადღება. იცის თუ არა ქალაქის გამგეობამ ეს და თუ იცის, აგვიხსნას, რა არის ამის მიზეზი?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** ამ გარემოებისა და საზოგადოდ ტრამვაის შესახებ გამგეობა შემდეგ კრებაზე წარმოუდგენს საბჭოს ხმოსნებას.

ბინების ქირის მომწესრიგებელი კომისია.

ქალაქის გამგეობამ კანდიდატების სია წარმოადგინა, რომელნიც სახლის პატრონთა მხრივ წევრებად უნდა შევიდნენ ბინების ქირის მომწესრიგებელ კომისიაში. ასეთი კომისია თბილისში არსდება ხუთი. პირველი უბნის კომისიაში არჩეულ იქმნენ ი. ნ. არღუთინსკი, ხმ. კეილი და ექიმი მუსხელიშვილი, მეორისაში—პოლკოვნიკი ნ. ი. არჯევანიძე, პ. მ. დოლუხანოვი და გ. ზ. თამამშვილი; მესამესაში—ბ. ა. არუთინოვი, ბ-ნი კვეზერელი-კოპაძე და სამედოვი; მეოთხესაში—თავ. ერისთავი, პ. სოსინი და ბ-ნი ბლიოტკინი; მეხუთესაში—ა. პ. ოდელავაძე, ტ. ენფინჯიანცი და ბ-ნი გორჩინი.

დახმარება

გამგეობის მოხსენების თანახმად საბჭომ დაადგინა მიეცეს ერთდროული დახმარების სახით სასაკლაოს მუშას ილია ექვთიმიშვილს 60 მან.

სიონის ტაძრის გალავანი.

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ სიონის ტაძრის გალავნის გაფართოება და მოწესრიგება თხოულობს, რომ ამ გალავანში შედიოდეს თემურაზოვის ადგილი, ზომით 24 ოთხკუთხი საჟენი. სხვა მეზობლებთაგან ზოგს უსასყიდლოდ დაუთმია ტაძრისათვის თავისი ადგილი და ზოგსაც იოლად მორიგებიან. თემურაზოვი-კი 30.000 მანეთს თხოულობს თურმე ამ ერთ ნაკვეთ მამულში. ამის გამო განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელსაც ნაკისრები აქვს სიონის ტაძრის გალავნის მოწესრიგება, შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ თეიმურაზოვს ღირებულ ფასში ჩამოართვას მამული აღნიშნულ საქმის სასარგებლოდ და ამ შუამდგომლობას გამოუწვევია აღნიშნული მოხსენება გამგეობისა.

საბჭომ უკამათოდ ერთხმად შეიწყნარა მოხსენება გამგეობისა. მამულს წესისამებრ საგანგებო კომისია შეაფასებს და გადაწყვეტილი ფასი მიეცემა თეიმურაზოვს.

ხე-ტყის საწყობები და ქარხნები.

ხმ. მიტკევიჩის განცხადების თანახმად გამგეობას შეუმუშავებია სავალდებულო დადგენილებათა პროექტი შესახებ ხე-ტყის ქარხნებისა და საწყობების მოწესრიგებისა და საბჭოს წარმოედგინა განსახილველად. ზოგიერთმა ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ხე-ტყის ქარხნები და საწყობები ქალაქის განაპირა იქმნან გადატანილიო.

საბჭომ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით სავსებით არ გადასწყვიტა და დაადგინა პროექტი გადაეცეს წინასწარ განსახილველად შეერთებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ ორ-ორი წარმომადგენელნი სასანიტარო, სამეურნეო და იურიდიულ კომისიებისა.

ვაჭრობა და მრეწველობა

შაბიამანის საქმე.

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ალავერდის ქარხანა ქართულ სამეურნეო საზოგადოებისათვის ამზადებს შაბიამანსაო. ნამდვილად საქმის ვითარება ასეთი იყო. ალავერდის ქარხნის მთავარ დირექტორთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ბ-ნ გიორგი წინამძღვრიშვილს გურჯაანისა, ველისციხისა და კარდანახის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დავალებით. ქარხნის დირექტორი და ბ-ნი წინამძღვრიშვილი შემდეგ პირობებით შეთანხმდნენ: ზემოხსენებული ამხანაგობანი ვალდებულნი არიან: 1) სადგურ სანაინამდე ალავერდის ქარხნისათვის მიიტანოს 3—4 ათას ფუთი გოგირდის სიმჟავე, 52°, თუ მოახერხეს თავისი ჭურჭლით. 2) გოგირდის სიმჟავის შოვნა-გადმოტანის ყოველი ხარჯი ზემოხსენებულ ამხანაგობათ უნდა იკისრონ. 3) ზემოხსენებული რაოდენობა გოგირდის სიმჟავისა ამხანაგობათ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად მიუტანონ, ხოლო იმ ვარაუდით, რომ უკანასკნელი ნაწილი ჩააბარონ ქარხანას არა უგვიანეს 1916 წლის 5 აპრილისა. 4) დამზადებულ შაბიამანს ქარხანა ჩააბარებს ზემოხსენებულ ამხანაგობათ სანაინის სადგურზე ხის მკვიდრ ყუთებით. თითო 6 ფუთიანი (ნეტტო), ფუთს 15 მან. 30 კაპ. ქარხანა ვალდებულია ყოველ მიღებულ 30 გირვანქა გოგირდზე თითო ფუთი შაბიამანი ჩააბაროს.

5) უკანასკნელი ნაწილი შაბიამანისა ქარხანამ უნდა ჩააბაროს არა უგვიანეს 1916 წ. 5 მაისისა.

6) სანაინის სადგურზე შაბიამანს მიიღებენ ნაწილ-ნაწილად არა ნაკლებ თითო ვაგონისა.

7) ანგარიშს ყოველ მიღებულ შაბიამანის ნაწილისას ჩააბარებენ ქარხანას.

8) თუ დამკვეთნი თავისი ჭურჭლით წაიღებენ შაბიამანს ქარხანა ფუთზე 15 მანათს ახდევინებს, თუ ქარხნის ჭურჭლით—ფუთზე 15 მ. 30 კ.

—

როგორც ვიცით არხანგელსკში ფრიდონოვს აქვს შაბიამანი, რომლის ნაწილიც კახეთისათვისაც აქვთ დაკვეთილი.

შაბიამნის გადმოტანა მით უფრო ძნელდება, რომ ბევრი ვაგონები სჭირდება, რადგანაც თითო ვაგონში მხოლოდ 50 ფუთი ეტევა.

დაფნის ფოთოლი.

ათი წელი მეტი იქნება, რაც დასავლეთ საქართველოში დაფნის მოყვანას მიყვეს ხელი. დაფნის მოყვანა მეტად ხელსაყრელი გამოდგა და ამ უკანასკნელ წლებში მეურნეობის ეს დარგი დიდად ვრცელდება. სამეგრელოში ისეთი სოფლებიც მოიპოვება, სადაც წლიურად რამოდენიმე ათეულ ათასს ფუთ დაფნის ფოთოლს ამზადებენ და ყიდიან. ფუთი დაფნა კი 10—20 მანეთამდე ფასობს. საუბედუროდ, ამ მეტად სასარგებლო მცენარის მოვლის და მოყვანის წესი გამოკვლეული არ არის და ჩვენი მეურნეობის ინსტრუქტორებიც უძლური არიან ხალხს საჭირო ცნობები მიაწოდონ. ხალხი საკუთარის ძალით იკვლევს გზას და შესაფერ გამოცდილებას ღებულობს. ეხლა, როგორც გვატყობინებენ დაბა **ზუგდიდში 6 მარტს შესდგება ყრილობა** იმ პირთა, რომლებიც დაფნის მოყვანას მისდევენ. ამ კრებაზედ საერთო ძალით იქმნება განხილული კითხვები იმის შესახებ, თუ როგორი ნიადაგი არის საჭირო ამ მცენარისთვის, როგორი მოვლა უნდა მას და სხ.

სოფლის ცხოვრებიდან

ყველიერი დღე იყო, როდესაც ქ. გორიდან ცხინვალის ხეობისაკენ ეტლით გავემგზავრეთ. დღეანდელმა მსოფლიო ომმა ყოველ მხრივ შესცვალა, როგორც სოფლის, აგრეთვე ქალაქის ცხოვრება. საითაც უნდა მიიხედოთ, თვალწინ წარმოგიდგებათ ის საშინელებანი, რომელიც მიაყენა თანამედროვე ომმა განსაკუთრებით ჩვენს სოფელს.

ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელს თვალი რომ გადაავლოთ, ყველგან სიამოვნებას იგრძნობთ, რადგანაც პრესის წარმომადგენელნი აღნიშნავდნენ სოფლის წინსვლას, როგორც ეკონომიურად, აგრეთვე პოლიტიკურად და ამის გამო მომავლით ვიმედოვნებდით. დღეს კი სულ მთლად შეიცვალა პირობები. ორი წელიწადია რაც მოშორებული ვიყავი სამშობლო მხარეს და ჩვენი სოფლის საშინელებანი უფრო ნათლად წარმომიდგა თვალწინ, ვიდრე იმას, რომელიც ადგილობრივ ცხოვრობს და ჭირს თუ ლხინს შეუმჩნევლად ეჩვევა.

ომმა შესცვალა სოფლის სახე არამც თუ გარეგნულად, არამედ თვით სოფლის ფსიხიკაც.

— ე, კაცო, გაჰწი ჩქარა, თორე ვინ იცის სახლში ცოლ-შვილი სიმშილით დამეხოცა,—აი ეს იყო პირველი ნათქვამი ჩემი თანამგზავრი გლეხისა, რომელიც გაეხმაურა მეეტლეს, რომ დაეჩქარებინა დ. ცხინვალისაკენ წასვლა. სთქვა და თავი ჩაღუნა. განა შეიძლება ვისიმე სახეზე ჭირი თუ ლხინი ისე მკაფიოდ ამოიკითხოთ, როგორც ქართველ გლეხკაცის სახეზე? დღესაც თვალწინ მიდგია მისი სახე: დანაოჭებული შუბლი, ჩაღრმავებული თვალები, ჭაღარა-შერეული თმა-წვერი, თითქმის ბინდ-გადაკრული სახე—აშკარად ამტკიცებდა რა დიდ სულიერ წუხილს განიცდიდა იგი.

ეტლი დაიძრა, ქალაქს გავცდით და მალე სოფ. კარალეთის მინდორზე გავჩნდით. კვლავ ცხინვალის ფოსტის გზაზე დიდი მოძრაობა იყო, ურემი—ურემს მისდევდა, დღეს კი... ცხოვრების კალაპოტი უკუღმა დატრიალდა. მეურმის ღიღინი აღარ არღვევს ჰაერს, აღარ ისმის მგზავრთა მხიარული ლაპარაკი. თუ როგორმე შეგხვდებათ გზათ მგზავრნი, მათ სახეზე მხოლოდ წუხილს-ღა ამოიკითხავთ. მეეტლე, თითქოს გაბრაზებული, შოლტსა სცემდა ცხენებს. ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო თანამგზავრ გლეხისაკენ. ბევრი დუმილის შემდეგ, მან თავი ასწია მაღლა, მინდორს გადაავლო თვალი და განაგრძო:—ეჰ, რა დრო დაგვიდგა, ამ ომმა დაგვწვა და დაგვანელა. კაცი სიბერეში გადაველ და არ მახსოვს კოდი პური თხუთმეტი მანეთი ღირებულიყოს, ან კიდევ სიმინდი რვა-ცხრა მანეთი და ისიც არ იშოვნება. ცოტათი შეჩერდა თავი გაიქნია და დააბოლოვა:—მამა-შვილობას გეფიცები, იქნობამდე მივა საქმე, რომ სიცოცხლეს სიკვდილი ემჯობინება. ყველაფერს ცეცხლი უკიდია.

სხვაც ბევრი რამ სთქვა სოფლის ცხოვრებიდან და მალ-მალე დააყოლებდა:—ნეტა რა შევცოდეთ ღმერთს, რომ კარს ესეთი უბედურობა მოგვაყენა.

ამ ლაპარაკით გავერთენით და სოფელ კარალეთში შეველით. სამარისებური სიჩუმე იყო სოფელში. მოხუცებულები, დედა-კაცები და ბავშვები აი მცხოვრებნი თანამედროვე სოფლისა.

სოფ. კარალეთი არც კვლავ ყოფილა სუფთა, მაგრამ ეხლა სწორედ ზღაპრული უსუფთაობაა გამეფებული. თვალთ დაგიბნელდებათ სახლების წინ რომ ეზოებს მიმოავლებთ თვალს: საქონლის პატივი, ნაგავი და სხვა, ყველაფერი თვალ წინ აქვთ. არა მგონია, რომ ამ გვარ უსუფთაობამ უშედეგოთ ჩაიაროს და გაზაფხულზე სხვა და სხვა სენი არ გაამეფოს სოფლად. გასაკვირველი ის არის, რომ ეს სოფელი ქ. გორიდან 7—8 ვერსით არის დაშორებული, შთაბეჭდილებას კი საშინელს ახდენს. ნუ თუ ამ სოფელში არ მოიპოვება ისეთი კეთილი ადამიანი, რომ სოფელს ის მაინც შეაგნებინოს, რომ ნაგავს და პატივს თავ-თავის ადგილი მისცეს? თუ ამ გვარი პირი სოფელში არ მოიპოვება, სასურველია რომელიმე ქართულმა დაწესებულებამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და გაგზავნოს ადამიანი, რომელიც სოფელს სისუფთავის მნიშვნელობას აუხსნის (ს. კარალეთში სომხებიც ბლომათ ცხოვრობენ) მალე ეტლი დაიძრა და ისევ მინდვრის სუფთა ჰაერმა დაჰბერა. საღამოთი დაბა ცხინვალში მივედით.

—

დ. ცხინვალი ქართლის გულად ითვლება, სადაც შედარებით დიდი ვაჭრობაა. ვაჭრობა თითქმის სომხების და ებრაელების ხელშია, ვაჭრობენ ქართველები და ოსებიც, მხოლოდ მცირედათ. საერთოდ ომიანობით ცხინვალელი ვაჭრებიც სარგებლობენ. წარმოუდგენელია ის სიძვირე, რომელიც ცხინვალში გამეფებულა. აქაური ვაჭრები სარგებლობენ შემთხვევით და ყველაფერს არაჩვეულებრივი ფასები დაადეს. საცოდავი სოფლელი აბა ვის შესჩივლებს თავის გულის ტკივილს?

— ვეღარ შევსულვართ სავაჭროთ დუქნებში,—მითხრა ერთმა სოფელმა,—ჯერ ერთი ყველაფერს მამასისხლად აფასებენ, მეორეც ის, რომ ვაჭრები ისე გვიშტიალებენ, როცა შევვაჭრებით ხოლმე, თითქოს უფასოდ მიგვქონდეს საქონელი.

ამ გვარი პირობები ყველგან არის გამეფებული, მაგრამ სოფლად უარესობაა.

ნუ თუ ცხინვალელ ვაჭრების თავხედობას ლაგამი არ უნდა ამოედოს? საზოგადოებამ უნდა აიძულოს ადმინისტრაცია, რომ ვაჭრების ძარცვაგლეჯას ბოლო მოუღოს: ყველაფერს ნიხრი უნდა დაედოს და მით ცოტათ მაინც შემსუბუქდება სოფლელის ბედი.

ცხინვალის სანიტარიულ მდგომარეობაზედაც სანუგეშებელს ვერაფერს ვიტყვით. სიბინძურე, განსაკუთრებით ებრაელების უბანში, გამეფებულა. ნეტავ, ცხინვალის მოხელენი, რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ უსუფთაობას? შეიძლება ზოგმა გაიფიქროს, დღეს-დღეობით ამისათვის არავის სცალიანო, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება. თუ დღეს ომის ასპარეზი მამულს საუკეთესო შვილებს უსპობს, შეიძლება სახლში უარესობა დაგვიდგეს სხვა და სხვა ავადმყოფობის გამო. საოფლე, სახადი და სხვა ამ გვარი ავადმყოფობა დღესაც გავრცელებულია სოფლად და თუ სოფლის სანიტარულ მდგომარეობას ყურს არ მიაქცევს, შეიძლება როცა ძლიერ ჩამოცხება ამ გვარმა ავადმყოფობამ ფესვი გაიდგას.

ჩ. კაპანაძე.

(დასასრული იქნება)

დაგა-სოფლეგი

სოფ. პატარძეული (გარე-კახეთი). სიმშილობასთან ერთად აქეთ გავრცელებულია სხვა და სხვა ავადმყოფობა, მაგ. წითელა, რომელიც მთელი ზამთარი მძვინვარებს გარე-კახეთში.

აქაც დიდი თოვლი მოვიდა და დახეთქილ მიწას დაეკურა იმ იმედად, რომ იქნებ წლეულს მაინც კარგი მოსავალი მოვიდეს...

სოფელში კაცის ხსენება თითქმის აღარ არის, ვინც ჯარის კაცად არ არის წაყვანილი, მაინც ლაშქარში მიდის რუსულ „პოვოსკებით“. დილიჟენების მოძრაობაც მოისპო, რადგანაც ისინიც იქით წავიდნენ.

ხალხში შიმშილობაა და ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობას კი პური არ მოსდის აქამდე. ბევრი დეკემბერშივე ჩაეწერა, იმ იმედით, რომ იანვარში დაპურებულიყვნენ, მაგრამ აი, თებერვალიც გადის და მისი ხსენება კი არ არის... ადგილობრივ, ხელადა ღვინო ღირს 2 მან. პოშოლა პური, კოდი 12 მანეთი, კვერცხი 3 ცალი—10 კოპ.

საერთოდ, აქაც აუტანელი გახდა ცხოვრება, მუშა ხელი, 1 მანეთია, ზოგ შემთხვევაში ექვს აბაზსაც აძლევენ, თუ შოვნა არ არის... მკათათვეში რაღა იქნება, მაგაზე ხომ მეტია ლაპარაკი...

ამ ჟამად პატარძეულის სამამასახლისოში შედიან: აღბულახი, ბერთუბანი, პატარძეული, ხაშმი და დრეიძე—ჰყავს ორი მწერალი...

გოგლა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ყარსიდან ატყობინებენ გაზ. „კასპი“-ს: დაბრუნდა ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებებელ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე ალიხან კანტემირი, რომელიც ამას წინად გაემგზავრა ოლთსა და არდაგანს გამოქცეულ მაჰმადიანების დასათვალიერებლად. გზაში ალიხან კანტემირისთვის ეცნობებინათ, რომ სარაყამიშში შემოიყვანეს ახალი გამოქცეული მაჰმადიანები და ეჭირვებათ დახმარებაო. საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწეს დაეთვალიერებინა ისინი და განჯის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეში გაეგზავნა, სადაც უზრუნველ ყოფილნი იქნებიან. ამ დღეებში კანტემირი ყარსის მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებას წარუდგენს მოხსენებას.

— იგდირიდან ატყობინებენ ამავე გაზ. რომ აქ ჩამოვიდა ბაქოს მაჰმადიანთა გამოქცეულ მზრუნველ კომიტეტის თავმჯდომარე ექ. სულთანოვი, რომელმაც დაათვალიერა გამოქცეული მაჰმადიანები. ექ. სულთანოვი აქედან გაემგზავრა დიადინის მხარეს, სადაც დაათვალიერებს გამოხიზნულებს.

— ხუთშაბათს, 25 თებერვალს ნ. ხ. მუხთაროვის თავმჯდომარეობით მოხდა ბაქოს მაჰმადიან ქალთა მომხმარებელ საზოგადოების კრება. კრებაზე დაადგინა საზოგადოებამ „ნავრზ-ბაირამის“ დღეს გამართოს მაჰმადიან ქალების დღესასწაული და მიიღონ მონაწილეობა საღამოში, რომელსაც მართავს ბაქოს მაჰმადიანთა საზოგადოება.

სომეხთა ცხოვრება

ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე, საქალაქო ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიის თავმჯდომარემ ა. არაქელიანცმა წარუდგინა გამოქცეულთა სია გენერალ თამამშევს და სთხოვა 88,000 მან. გადაედო გამოქცეულ სომხების, აისორე, ბის, რუსების და პოლონელების შესანახად მიმდინარე წლის იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში.

— ქალაქ მუსში ამ ჟამად 1,000 გადმოხვეწილია. სასუნიდან მოსულა 160. ხნუსში გადმოხვეწილთა რიცხვი 1,000 აღემატება. თხოულობენ ჩქარა გამოუგზავნონ სათბილობლები.

— კაზ. „ჰორიზონ“-ში მოთავსებულია შემდეგი განცხადება: „კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან თბილისს ჩამოდიან ჯგუფ-ჯგუფად გადმოხვეწილი სომხები აზრუმიდან, შუშიდან, სასუნიდან და სხვ. მათ უნდათ ახლავე დაბრუნება თავიანთ კერაზე, მაგრამ რადგანაც სამხედრო ადმინისტრაციისაგან არ არის ჯერ წასვლის ნება მიღებული, იძულებულნი არიან დაიცადონ თბილისში. უკეთესი იქნება გადმოხვეწილები დარჩებოდნენ იქ სადაც ჯერ-ჯერობით არიან, და როცა შესაძლებელი იქნება გაზ. „ჰორიზონი“ შეატყობინებს მათ.

— ამერიკიდან თბილისს ჩამოვიდა კიდევ ორი რაზმი სომეხ მოხალისეთა. ისინი მალე ბრძოლის ველზე გაემგზავრებიან.

თეატრი და ხელოვნება

თბილისი.

კვირას 6 მარტს ახალ კლუბში მგოსანი სანდრო შანშიაშვილი წაიკითხავს ახალ პოემას „ბერდო ზმანია“-ს.

— ორშაბათს 7 მარტს მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს „ოტელოს“.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsge-
fangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ბაქო-ბორჯომის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო. საათები თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს.	წ.	
ბათომისკენ	სამგ.	9	8.53		საღ.
„	საფ.	3	9.58		დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	19-20	3.20		ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	4	10.20		საღ.
„	ჩქარი	6	12.8		დღის
„	სამგ.	8	11.13		ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	4-3	11.13		ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	4	9.30		საღ.
„	სამგ.	10	9.51		დილ.
ბაქოდან	საფ.	3	9.3		დილ.
„	ჩქარი	5	7.41		საღ.
„	სამგ.	7	1.42		ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	19-20	7.25		დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	4-3	8.8		დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოეგს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8	ს. 58	წ.	დილ.
ნავთლული-ამიერ კავ.	9	„ 23	„	„
ნავთლული-კახეთისა.	9	„ 43	„	„
ვაზიანიდან	10	„ 42	„	„
იორიდან	11	„ 35	„	„
საგარეჯოდან	12	„ 17	„	„
ბადიაურიდან	1	„ 15		დღის
მელაანიდან	2	„ 37	„	„
გურჯაანიდან	4	„ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	4	„ 58	„	„
თელავში მიდის	5	„ 35	„	„
გურჯაანიდან	4	„ 18	„	„
კარდენახიდან	4	„ 50	„	„
წნორის-წყალ. მიდის	5	„ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	8	ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9	„ 45	„	„
გურჯაანიდან	10	„ 46	„	„
მელაანიდან	12	„ 02	„	„
ბადიაურიდან	1	„ 13	„	დღის
საგარეჯოდან	2	„ 15	„	„
იორიდან	2	„ 53	„	„
ვაზიანიდან	3	„ 40	„	„
ნავთლულ-კახეთ.	4	„ 31	„	„
ნავთლულ-ამიერ-კავ.	4	„ 46	„	„
თბილისში მიდის	5	„ 01	„	„
წნორის-წყლიდან	9	ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან	9	„ 46	„	„
გურჯაანში მიდის	10	„ 16	„	„

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ოჯჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქართველოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თეატრი

ამ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, საბრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 4.